# სამშობლო

წ. I 1915 წ. კვირა 29 მარტი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასის ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი ... განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 43 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 43


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

## „სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

შაბათს, 28 მარტს, ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### პორფირე ბერის ძე ჯუღელი

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებთ და ნაცნობთ მეუღლე მისი როდამ შიოს ასული, პორფირეს ასულნი ფოდორასი, პილასი და ნატალია, რძლები მართა და ანეტა, ძენი: კორნელი, ალექსანდრე, ვლადიმერი და გრიგოლი და სიძენი: გიორგი სულაქველიძე და ვლადიმერ კაპანაძე.

გასვენება დანიშნულია სამშაბათს, 31 მარტს, სოფელ სვირში.

1—1 № 135.

---

## 26 აპრილს დანიშნულია

ქართ. შორ. წერ. კითხ. გამ. ქუთ. განყოფილების

# საზოგადო კრება

26 აპრილს, დილის 11 საათზე, შავიქვის საბჭოს შენობაში.

კრებაზე გადამწყვეტი ხმის უფლება მიეცემათ მხოლოდ იმ წევრებს, რომელთაც გადაიხადეს 1914 წლის საწევრო ფული.

---

სამანუფაკტურო მაღაზია ზ. ს. ბუტულოვისა

ქუთაისი, გიმნაზიის ქუჩა, ბულვარის პირდაპირ,

## თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი ნიშნავს

## დიდ იაფ ვაჭრობას

6—1

---

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

## „ძმათა პასხალიდის“ აბრეშუმის თესლი

უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში

ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში;

ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

---

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჟორჟიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теорiи права“

Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

---

ქ. ქუთაისი

მოსკოვის ფირმის განყოფილება

ამხანაგობა

## „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი“

გიმნაზიის ქუჩა საკუთ. სახლი.

## თომას კვირაში

30 მარტიდან 4 აპრილამდი

ნიშნავს

# დიდ იაფ ვაჭრობას

ყოველგვარ სამანუფაქტურო საქონლისას.

---

ქალაქის თეატრი. სამშაბათს, 31 მარტს.

ნ. ჩხიკვაძის

## ლიტერატურული საღამო

1 ლექცია: ახალი ჰანგები თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ევდოშვილი, რუხაძე, ქუჩიშვილი, ჩხიკვაძე (მათი მოღვაწეობის პირველი ხანა). წაიკითხავს შალვა სანებლიძე.

2 ვოდევილი „მოფურჩხულია“. 1 მოქ. დ. მესხისა. მონაწილეობას მიიღებენ ქ. ნი მარო მდივანი, ქილარჯიშვილი, ბ.ბ. ბარველი, ვ. ურუშაძე და სხვები.

3 ლიტერატურული ს. აბაშელი, ვ. რუხაძე, ზ. ტაბიძე, დ. თომაშვილი, ნ. ჩხიკვაძე წაიკითხავენ თავიანთ ნაწარმოებს. „უკანასკნელი ბარათი“, პრიხოლ. ესკიზი, შ. სანებლიძისა, წაიკითხავს ჩხიკვაძე ლადო ჯაფარიძე—ესკიზს.

4 ცნობილი მომღერალი ვარდენ ლორთქიფანიძე იმღერებს რომანსებს.

დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ადმინისტრატორი ვ. ურუშაძე.

---

ქალაქის თეატრი

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ, კვირას, 29 მარტს,

წარმოდგ. იქნება ცნობილი ისტორიული პიესა დ. ერისთვისა.

## სამშობლო (ლიტანიით)

5 მოქ. და 7 სურათად.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი, ხორო და თანამშრომლები.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

მზადდება წარმოსადგენად: მამულ-დედული, ივდითი, იუდას მემკვიდრე, ოიდიპოს მეფე და ცხოვრების ტალღებში. ფასები ჩვეულებრივია.

---

## გაფრთხილება.

## ს/ს გოკიელოვის—ძ-ბი

ქუთაისში

ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს, რომ გაზეთებში გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ ზოგიერთი თესლის გამყიდველები სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც მიუცილებელ საჭიროდ ვცანით, რომ

## ს. ხრისტოდულიდის

თესლის მეიდგულნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: დააკვირდით ჩვენს ფირმას—გარეთ კოლოფს აქვს იარლიკი ქართული წარწერით (თეთრ ქაღალდზე) და ასვია „შტემპელი“, აწერია „ს/ს. გოკიელოვის ძ—ბი“, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის „შტემპელი“ რუსულ-ქართული წარწერით „ხ. ხრისტოდულიდისის“ და ს/ს გოკიელოვის ძ—ბის“, აქვე დასმულია ლუქით ბეჭედი, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოუხვევულია სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

კბილის მენალარიშრილი და ტრუბაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისა. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება: დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

## სტუდენტი

ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით)

ვამზადებ და ვუსწორებ გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს ყველა საგანში. (სპეც: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დეკავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

14—8

---

## გამოცდილი რუსი მასწავლებელი ქალი.

სპეციალისტი რუსულსა და მათემატიკურ საგნებში ამეორებიებს და ამზადებს მოსწავლე ქალებს ყველა კლასისათვის. თანახმაა იმასწავლებლოს სოფლათაც.

მისამართი: ძველი თფილისის ქუჩა, სახლი ცნობილაძისა, ბინა მასწავლებელ ფიოლკოვისა.

5—2—135

---

# ომი

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

პეტროგრადი. 26 მარტი. მთავარსარდლის შტაბისაგან. 24 მარტს, კარპატების ონდავის ველზე ჩვენმა ჯარმა სტრონკოტუჩანის რაიონიდან ავსტრიელები გასდევნა. ზალაბორის გზით ავსტრო-გერმანელებმა მაშველი ჯარი შეიერთეს და ცდილობდენ თავისი შეტევა გაეძლიერებიათ, მაგრამ მტრის ყველა იერიშები მოვიგერიეთ და ჩაბილოჩ-მუკის ფრონტი დავიჭირეთ. რკინის გზიდან ჩრდილოეთის რაიონში უჟოკ-ან—ბერეზნასთან—კარპატების მთავარ ქედზე—ჩვენი ჯარის გადასვლა სწრაფათ ხდება, მათ... ... [illegible]

# დღეს რა მოხდა.

ზალიშჩიკის გზით ავსტრო-გერმანელებმა მაშველი ჯარი შეიყარეს და მედგრათ შეუტიეს რუსის ჯარს, მაგრამ მათი ყველა შეტევა უკუგდებულ იქნა. ამ ბრძოლის დროს რუსებმა დაიკავეს ხაბალოჩ-შუკოს ფრონტი.

კარპატების მთავარ ქედზედ რუსის ჯარი სწრაფად გადადის. საერთოდ კარპატებში რუსების სამხედრო მოქმედება წარმატებით სწარმოებს.

გალიციაში 20—25 მარტამდი მოპირდაპირეთა შორის საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. ბარტფელდის გზით გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ რუსის ჯარმა ს. ვიშოვთან სიმაღლეები დაიკავა და ტყვეთ წამოიყვანა 20 აფიცერი და 1234 ჯარისკაცი. ამავე რაიონში რუსებმა ბრძოლით აიღეს სოფ. ტრონკო, პუჩაჩა და რებეიე.

### დასავლეთის ასპარეზი.

მაასსა და მოზელს შუა ფრანგებსა და გერმანელებს ერთმანეთზე რიგრიგობით იერიშები მიაქვთ. გერმანელების ყველა იერიშები ფრანგებმა მოიგერიეს და დაკავებული პოზიციები შეინარჩუნეს. აილის ტყეში ფრანგებმა ახალი თხრილები ჩაიგდეს ხელში გერმანელებისა.

სამხრეთ ვევრში მორმარისა და ლეპრეტის ტყეებს შუა ფრანგებმა ბრძოლით სამი კილომეტრის მანძილზე წინ წაიწიეს და სოფ. ფეინ-რენიევილი დაიჭირეს.

### ოსმალეთის ასპარეზი.

შავი ზღვის პირას საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

ართვინის გზით და ოლთისის ჩრდილოეთით რუსის ჯარს ოსმალებზე იერიში მიაქვს.

---

ტის სამხრეთით და ჩრდილოეთით წარმატებით ვმოქმედებთ. ჩვენი ფრონტის სხვა ადგილებში მდგომარეობა უცვლელია. 26 მარტს, ღამით, მიშინეცის ჩრდილოეთით გერმანელებმა ჩვენი მზვერავი უნტერ-ოფიცერი პორფირე პანასიუკი დაიჭირეს და სოფელ რასოგაში მდებარე ერთ-ერთ შტაბში გაგზავნეს, სადაც წამებით უნდოდათ გამოეთქვინებინათ ჩვენი ჯარის ადგილ მდებარეობა. პანასიუკი, მიუხედავათ დიდი წამებისა, გერმანელების აფიცრების კითხვებზე არავითარ პასუხს არ აძლევდა, რის გამოც ისინი თანდათანობით ყურზე ნაწილ-ნაწილათ ხორცს აჭრიდენ. შემდეგ პანასიუკმა გამოქცევა მოახერხა და 20 მარტს ჩვენს ჯარს გვერდში ამოუდგა. მთავარსარდალმა ასეთი მამაცობისთვის პანასიუკი პირველი ხარისხის გიორგის ჯვრით და ფულით დააჯილდოვა.

**პეტროგრადი.** 27 მარტი. 26 მარტიდან ზავისლიანის რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში 20—25 მარტს მდ. დუნაეცის რაიონში ბრძოლა არტილერიით სწარმოებდა. ბარტფელდის გზით 20—21 მარტის ბრძოლის შემდეგ სოფელ ვიშოვთან და ბლეხნაროვთან ჩვენმა ჯარმა სიმაღლეები დაიკავა, ორი ტყვიისმტყორცნელი იხელთა, 20 აფიცერი და 1234 ჯარისკაცი დაატყვევა. ამავე გზით 22—23 მარტს სოფელი სტებნიაკი დავიკავეთ. ოზოროდან ჩრდილო დასავლეთით რხონდავის რაიონში და მეზალაბორჩის გზით ჩვენმა ჯარმა 23—25 მარტამდე ბრძოლის განმავლობაში სოფლები სტრონკო, პუჩაჩა და რებეიუ დაიკავა და ბევრი დაატყვევა.

ბალიგრადის გზით ჩვენი ჯარის შეტევა თანდათან ვითარდება, გადადის მთის მთავარ ქედზე და დასავლეთის ფერდობზე ეშვება. ავსტრიელები უკან იხევენ, ხიდებს სწვავენ, რომ ჩვენი იერიშები ცოტათი მაინც შეაჩერონ, მაგრამ ამაოთ. ჩვენმა ჯარმა შემდეგი სოფლები დაიჭირა: ვოლია, მიხოვა, მანიუვი, ცისნა, კალნიცა, ბალნიცა, სოლინკა, როსტოკი, გორინია, სმოლნიკი და ოროშ-რუშკო. სადგურ ცისნის დაჭერის დროს ხელში ორი ორთქლმავალი ჩაგვივარდა, ორი ექვს დიუმიანი ზარბაზანი, მრავალი პატრონა სხვადასხვა საომარი იარაღი და სატენი ყუთები. სოფელ კალნიცას აღების დროს 400 ჯარის კაცი დავატყვევეთ, სამი საველე ზარბაზანი და მრავალი სატენი ყუთები ვიხელთეთ სოფელ ტოპოლის ჩრდილოეთით ოროშპატკისა, ზბოის სიმაღლეები და სოფელი ნოვოშედლიცევი დავიჭირეთ. უჟგორის გზით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს, მტერს პოზიციებიდან სდევნის, თუმცა ავსტრიელები მედგრათ იცავენ. სხვა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

### ოსმალეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 27 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 25 მარტს, ზღვის პირის გზით მთელი დღე არტილერიის სროლა იყო. ართვინის გზით და ოლთის ჩრდილოეთით ჩვენი შეტევა გრძელდება. ალაშქერის ველზე ოსმალების ცდამ, რომ ჩვენზე იერიში მოეტანათ, უნაყოფოთ ჩაიარა. კოლიჭკიადუკის უღელტეხილზეც იერიში უნდა მოეტანათ, მაგრამ მოგერებულ იქნენ. სხვა გზებზე მდგომარეობა უცვლელია.

**პარიზი.** 27 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. მიუხედავათ ცუდი ამინდისა, ჩვენ წარმატებით ვმოქმედებთ 26 მარტს, ღამითა და დღით მაასსა და მოზელის შუა ეპარჟთან ღამის იერიშით წინ წავიწიეთ. აქ მტერმა სამჯერ სასტიკი იერიშები მოიტანა ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენ მაინც დაჭერილი პოზიციები შევიმაგრეთ. ბრძოლის ველზე დახოცილ გერმანელების 1000 გვამი დავთვალეთ. მორვილის ტყეში სამხრეთით გერმანელების მთელი როტა თითქმის გავანადგურეთ, გადარჩა 10 კაცი, რომლებიც დავატყვევეთ. აილილის ტყეში ჩვენ ახალი თხრილები დავიჭირეთ და მტრის ორი კონტრ-იერიში მოვიგერიეთ. ფლირეს ჩრდილოეთით, მარმარილოს ტყეში ჩვენ მტრის საველე სიმაგრე დავიჭირეთ და, მიუხედავათ მტრის მამაცური ცდისა რომ უკან დაებრუნებია, ზედ გავმაგრდით. ამ ტყის ჩრდილო დასავლეთით პანასთან ჩვენმა ყუმბარამ მავთულები გაგლიჯა, რომელზეც გერმანელების ჰაეროვანი ბურთი იყო ჩამოკიდებული, ჩამოგდებული ბურთი ქარმა ჩვენი ბრძოლის ხაზებზე გადმოაგდო. 22 მარტიდან ჩვენი დაზვერვისა და იერიშების შედეგი შემდეგ სურათს წარმოადგენს: ჩვენი ფრონტების ჩრდილო-აღმოსავლეთით და ვერდენის აღმოსავლეთით ჩვენ სამი კილომეტრის მანძილზე წინ წავიწიეთ. 20 კილომეტრის სივრცეზე მდ. ორნის ველზე მდებარე სიმაღლეები დავიჭირეთ. სოფელი კუსენვილ-ფრომზე ავიღეთ. ეპარჟთან მდ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მტრის მთელი გამაგრებული პოზიცია კომბრის სიმაღლეზე და, მიუხედავათ მტრის გაალმასებული იერიშებისა, ზედ გავმაგრდით. სენმიელთან სამხრეთით აისის ტყის მთელი სამხრეთ დასავლეთის ნაწილი დავიჭირეთ; გერმანელები თუმცა შეეცადნენ უკან დაებრუნებიათ, მაგრამ ვერას გახდენ. სამხრეთ ვევრში მორმარისა და ლეპრეტის ტყეებს შუა სამი კილომეტრის მანძილზე წინ წავიწიეთ და სოფელი ფეან-რენიევილი დავიჭირეთ. ამ ბრძოლების დროს გერმანელები ძალიან დამარცხდენ, რასაც ეპარჟთან დახოცილ გერმანელთა გვამების დიდი გროვა ამტკიცებს.

# სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრ. ტელ. სააგენტ.

**სტოკჰოლმი.** 26 მარტი. დიდი სენსაცია გამოიწვია საიდუმლო ორგანიზაციის აღმოჩენამ, რომელიც ლანდსკრონიდან გერმანიას სურსათ-სანოვაგეს აწვდიდა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი გერმანიის ქვეშევრდომი ლევინი არის. ლანდსკრონში მან სურსათ-სანოვაგის საწყობი მოაწყო, ვითომდა შვეციის ბაზარზე გადასატანათ. ლანდსკრონის გზით სურსათ სანოვაგით დატვირთული გემები დანიშნულებისამებრ შვეციის პორტებისაკენ მიდიოდენ, გზაზე მიმართულებას იცვლიდენ და გერმანიისაკენ გაუდგებოდენ ხოლმე. ადგილობრივი გაზეთები პროტესტს აცხადებენ და ლევინის გაძევებას მოითხოვენ.

**პარიზი.** 26 მარტი. გარეშე საქმეთა სენატ. სეს. ბურჟუას თავმჯდომარეობით შემდგარ სხდომაზე დელკასესი და ოგანიერის აზრი მოისმინა ბალკანეთისა, დარდანელისა და ვილსონის ნოტას შესახებ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ იმ მიღებულ ზომების გამო, რომელმაც ბლოკადა ეკონომიურათ უზრუნველ უნდა ჰყოს.

**რომი.** 26 მარტი. ნაციონალურ პარტიისა, კონსტიტუციონალ-დემოკრატიისა, ქალთა კომიტეტისა, ომში ჩარევის მომხრეთა და დიპლომატიურ კომიტეტის წარმომადგენლებმა შეერთებულ სხდომაზე დაადგინეს: დაარსონ ეროვნული კომიტეტი, რომელსაც მიზნათ ექნება გასწიოს აგიტაცია, რათა ხალხის უმაღლესი ინტერესების გულისთვის მთავრობა ერთგვარ გადაწყვეტილებას დაადგეს.

# რუსეთის ცხოვრება.

თავად-აზნაურთა კრებები,—ებრაელების წინააღმდეგ გალაშქრება,—ერობა და სამოსწავლო მთავრობა,—საზღაპრო ამბები სამოსწავლო მთავრობის უწყებაში,—მიწის დამუშავება.

— —

— ყოველ წელს ხდება რუსეთის გაერთიანებულ თავად-აზნაურთა კრებები პეტროგრადში და ერთი ასეთი კრება ამ ერთი კვირის წინათაც მოხდა. ამ კრებებს დღეს ისეთი მნიშვნელობა არა აქვს, როგორიც ქონდა წინათ, როდესაც მთავრობა თავად-აზნაურობას ემყარებოდა და, როდესაც თავად-აზნაურობა მთავრობის პოლიტიკაში დიდ როლს თამაშობდა და ტონის მიმცემი იყო. ჟამთა ვითარებამ წაართვა და სხვა კლასს არგუნა: დღეს მთავრობა რუსეთის ბურჟუაზიას ელოლიავება, როგორც უფრო ეკონომიურათ ძლიერ კლასს. ცხოვრებამ შესამჩნევათ წინ წაიწია, სახელმწიფოში კაპიტალიზმი განვითარდა, ახალგაზრდა ბურჟუაზია წარმოიშვა და თავად-აზნაურთა ბატონობა ამ კლასმა შეარყია და ბატონობაც ხელიდან გამოაცალა.

კოკოვცოვის ამ ორი-სამი წლის წინათ მოსკოვში მისვლა და იქ მრეწველთა კრებაზე მისი სიტყვა ამ აზრის ილიუსტრაციაა. თავად-აზნაურობა ჩვეული პოლიტიკაში ტონის მიცემისა, არ იშლის ამ ჩვეულებას და ახლაც პოლიტიკაში ტონის მიცემის ხასიათის რეზოლუცია გამოაქვს. ადგენენ ისეთ რეზოლუციას, რომლის ძალითაც სტამბოლი, დარდანელი და ბოსფორი რუსეთის ხელში უნდა გადავიდეს. მიუხედავად იმისა, რომ თავად-აზნაურობას ძველი უფლებები აღარა აქვს და [illegible] ტონის მიმცემი, ეს რეზოლუცია მაინც ასეთაც შეიქნება, რადგანაც რეზოლუციის შინაარსი წოდებრივ ხასიათს გასცილდა და მისი განხორციელება იმდენათ თავად-აზნაურობისათვის არ არის სასარგებლო, რამდენათაც ბურჟუაზიისათვის. კრებები ჯერ კიდევ არ დასრულებულა და მის შესახებ უფრო ვრცლად შემდეგ.

— —

დღევანდელმა საერთაშორისო უმაგალითო ომმა რუსეთში მცხოვრებ ერებისაგან სხვერპლი მოითხოვა და ყოველმა ერმა მიიტანა ეს სხვერპლი. ებრაელთა ერმაც ამ ომში რუსეთის სასარგებლოთ სხვა ერებთან ერთად გაიღო თავისი წვლილი. ებრაელთა ახალგაზრდობა ისევე ებრძვის მტერს, როგორც სხვები. ებრაელები სხვას არც ფულის შეგროვებასა და ლაზარეთების დაარსებაში ჩამორჩა. ებრაელთა დაუძინებელმა მოძულემ—პურიშკევიჩმაც-კი დაიფიცა—გამიწყრეს ღმერთი თუ ებრაელთა წინააღმდეგ აწი ვსთქვა რამეო.—ბევრს ეგონა და ებრაელებიც ფიქრობდენ: ამიერიდან ერთხელ და სამუდამოდ მოისპო მემარჯვენეთა კომპანია ებრაელთა წინააღმდეგ. იმედი არ გამართლდა და ებრაელებისადმი მემარჯვენეთა დუმილი ხანმოკლე შეიქნა.

მემარჯვენეთა გაზეთებმა უკვე დაიწყეს ებრაელთა წინააღმდეგ წერა. ამ მხრით პირველი ადგილი „ნოვოე ვრემიას" უკავია და ისიც ებრაელების წინააღმდეგ ინსინუაციების გამოგონებაში წინამძღოლობას პირნათლად ასრულებს. არც თავად-აზნაურობამ დაივიწყა ებრაელები. გაერთიანებულ თავად აზნაურთა კრებაზე კვლავ გაისმა ებრაელთა საწინააღმდეგო ხმა. კუშელოვმა თუ რუსეთში რაიმე უბედურება ხდება ყველაფერი ებრაელობას დააბრალა. ებრაელები არყევენ რუსეთის პურის ექსპორტს, ებრაელები სჩადიან ძალმომრეობას, ბანკები მხოლოდ ებრაელებისათვის არსებობენ და სხვაო. და ყოველივე ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ომი რუსეთის საკეთილდღეოდ არა ერთს და ორს ებრაელთა ახალგაზრდათა სიცოცხლეს იწირავს და, როდესაც ომის საჭიროებისათვის ებრაელების დიდძალი ფული იხარჯება. რუსეთის პრესა ხშირათ სწერს და დღევანდელ ომს პატარა დაჩაგრულ ერების განმათავისუფლებელ ომათ ნათლავს, მაგრამ რა განმათავისუფლებელიც იქნება ეს აქიდანვე ჩანს. მერმეთ ვისგან იჩაგრება

---

# კარლ კაუტსკი ომის შესახებ.

(ხერასკოვიდან).

I.

საშინელი სისხლის სმელი ხანა, კაუტსკის აზრით, იყო ის დრო, როდესაც საშუალო საუკუნის ფეოდალური საზოგადოება გარდაქმნა საქონლის მწარმოებელ ოჯახათ. გამდიდრების სურვილი სწრაფათ მოედო საზოგადოების ფართო წრეებს. იმ დროს ჯერ კიდევ არ იცოდენ, თუ როგორ უნდა ესარგებლათ სხვისი შრომით და დიდი ქონება შეეძინათ. ამიტომაც იყო, რომ მაშინ სხვისი შრომით გამდიდრებას გვერდს უვლიდენ და ფიზიკურ ძალადობას ეტანებოდენ. ამ მიზნით ან არ ასახლებდენ თავისუფალ მიწებზე გლეხებს ან და უზომო ბეგარას ახდევინებდენ. ართმევდენ ერთმანეთს ადგილებს და ამ რიგად ფეხს იდგამდა მხეცური კოლონიალური პოლიტიკა. მაღალი წრეების ცარცვა გლეჯაზე დამყარებულმა ასეთმა პოლიტიკამ დაბალ წრეებში წარმოშობა პროფესიონალური უსაქმურების კლასი ლუმპენ-პროლეტარიატებისა, მათხოვრებისა, ტყუილად მოხეტიალების, ყაჩაღებისა და სხვა.

ძარცვამ, სხვისი პიროვნების დამცირებამ და ადამიანის სიცოცხლის აბუჩად აგდებამ იმ დროს უკანასკნელ წერტილამდის მიაღწია. ომი გახდა „უმაღლესი სკოლა ცხოველური ინსტიქტების განხორციელებისა". ჯარები სდგებოდა ძალდამტანებელ ბრბოებისა და ნაძირალებისაგან; ათხრებადა გაძარცვა დაპყრობილი ქვეყნებისა იყო წყარო მათი არსებობისა და მიზანი ომისა. ამიტომაც არის, რომ არც ერთს ეპოქას არ ახსოვს ადამიანების ასეთი გულშემაზარავი წამება, მათი ჩამოხრჩობა, ცოცხლათ დაწვა, მთელი პროვინციების განადგურება, როგორც მაშინ. ეს იყო იმ დროს, როდესაც მეცნიერებამ, ტეხნიკამ და ფილოსოფიამ წინა საუკუნოებზე უფრო წინ წაიწია.

XVII საუკუნის დამლევიდან იცვლება ომის მკაცრი წესები. ამ დროიდან კაპიტალისტური წესწყობილება ძლიერდება და ითხოვს მუშა ხელს. ქარხნებს ეტანება უსაქმურთა კლასი და ომმაც სხვა ხასიათი მიიღო. ჯარებს მიაკლდათ „მოხალისეები", რადგან შემცირდა ლუმპენპროლეტარიატი. ჯარის კაცის შეკრება ძალათი დაიწყეს შემოიღეს მკაცრი დისციპლინა და რომ არ გაქცეულიყვენ „კაზარმებში" ამწყვდევდენ შეცვალეს ომის ტაქტიკა. ჯარები ნელა და დიდის სიფრთხილით გადაყავდათ ერთი ადგილიდან მეორეზე, რადგან საჭირო იყო მათთვის სურსათი და ამ უკანასკნელის გადატანა კი აგვიანებდა მათ მოძრაობას.

მეტის ყურადღებით ეკიდებოდენ ჯარის კაცებს, რადგან მათი შეკრება საძნელო შეიქნა, ამიტომ ერიდებოდენ მტერთან პირდაპირ შებმას და ცდილობდენ ჯარების მოხერხებულ გადაყვან გადმოყვანით მოეტყუებიათ მტერი, ალყა შემოერტყათ და შიმშილით დაემორჩილებიათ. ამ რიგათ „შიმშილის ტაქტიკა" დაამკვიდრეს „დამსხვრევის ტაქტიკას". ომები დიდის ხნობით გრძელდებოდა და სისხლიც იშვიათათ იქცეოდა. მცხოვრებლები ომის დროს გულდამშვიდებულათ განაგრძობდენ თავიანთ საქმეებს და ომს უყურებდენ, როგორც ხელმწიფეებისა და გაწვრთნილი ჯარების კერძო საქმეს. ასეთი იყო მდგომარეობა 18-ტე საუკუნის დამლევამდი.

ყველას ეგონა, რომ ომის წესები თან და თან უფრო ლმობიერი შეიქნებოდა, მაგრამ დრო იცვალა, დადგა ახალი ეპოქა და იფეთქა საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ, ამ ხანაში ომის წესები უფრო მკაცრი და სასტიკი გახდა. რევოლიუციის წყალობით საფრანგეთის ხალხი შეეჯახა ფეოდალურ ევროპას. ეხლა აღარ ფიქრობდენ ტერიტორიის გაფართოებაზე. ხალხი უფრო პოლიტიკურს და სოციალურს უფლებების გაფართოვებას აქცევდა ყურადღებას და ამ მიზნისთვის არაფერს არ ზოგავდა. მათ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს ფეოდალურ ევროპას. ასტყდა „ხალხური" ომი, კვლავ გამეფდა „ტაქტიკა დამსხვრევისა", მოულოდნელათ და სწრაფათ ეცემიან მოპირდაპირენი ერთმანეთს; გენერლების მიზანია მტრის შეუბრალებლათ გაჟლეტა, ჯარისკაცებს ახლა აღარ ზოგავენ, რადგან ომი „სახალხოა" და მეომრებიც ბევრი ჩნდება. თვით ჯარის კაცები, რომლებიც უმეტეს ნაწილათ ქარხნებსა და მიწას მოწყვეტილი იყვენ—მუშები, იჩენენ საშინელს სიმკაცრეს: ამათ სურთ ჩქარა გაათავონ ომი, გაანადგურონ მტერი და დაუბრუნდენ თავიანთ საქმეებს. ასეთმა სიმკაცრემ გასტანა ოც წელიწადს და ისე დაასუსტა ევროპის მცხოვრებლები, რომ მათ შესაძლებლათ სცნეს მოწვევა ევროპის საერთაშორისო კონგრესისა, რომელმაც ორმოცდაათ წელიწადს შეინახა ევროპის მშვიდობიანობა.

ამ ხნის განმავლობაში ნაციონალური დემოკრატია ცდილობდა დაემყარებინა მუდმივი სიმშვიდე და მოითხოვდა ჯარებისაგან იარაღის დაყრას.

ასე იყო მესამოცე წლების დამლევამდი.

1866 და 1870 წლების შემდეგ ევროპის ბურჟუაზიის მდგომარეობა შეიცვალა. თუ ევროპის ბურჟუაზია წინათ ეჭვის თვალით უყურებდა მთავრობას, ახლა მან ხელი მისცა მთავრობას და მტრათ გადაექცა გაღვიძებულ მუშათა კლასს. სახელმწიფოს ახალმა იმპერიალისტურმა სურვილებმა „ბაზრის" მოსაპოვებლად შექმნეს მწვავე კონფლიქტები არა მარტო მთავრობათა შორის, არამედ მთელ სახელმწიფოების ხალხთა შორის, ამიტომ იწყება ფიცხელი შეიარაღება, აუმჯობესებდენ საომარ იარაღებს და არიან მხოფლიო ომის მოლოდინში.

მარტო ეს გარემოება იყო საკმარისი, რომ გამოეწვია ნაციონალური განხეთქილება.

თანამედროვე ომი უფრო იმ ომებს ჰგავს, რომლებიც ხდებოდა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ სიმკაცრით მათზე უფრო უარესია.

ასეთი სისხლის ღვრა და საშინელი შეუბრალებელი განადგურება ისტორიას ჯერ არ ახსოვს.

ტაქტიკის მხრივ ეს ომი არის შეერთება ორი სტრატეგიისა — ეკონომიურის და ტეხნიკურისას.

იმ დროს, როდესაც ხალხის ეკონომიური მდგომარეობა მოითხოვს რაც შეიძლება ჩქარა გათავდეს ომი და უკარნახებს მკაცრ „დამსხვრევის ტაქტიკას", სამხედრო ტეხნიკა საშინელს ზიანს აყენებს ჯარს თავის მომაკვდინებელი მოქმედებით. ამიტომაც არის, რომ თანამედროვე ომი თავის საშინელი სახით ბევრ მსხვერპლს მოითხოვს, ბადებს ზიზღს ხალხთა შორის და ნაპოლეონის მკაცრ ეპოქასაც კი ბევრათ უკან სტოვებს.

რა შედეგი მოყვება ამ ომს? უნდა გვეშინოდეს თუ არა ადამიანობის დაკარგვისა, გამხეცებისა. ეს შიში მოსალოდნელია, მაგრამ იმდენათ კი არა, ვინაიდან ხალხთა ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, ხალხთა შეჯახება ეკონომიურს ნიადაგზე, ზრდა პროლეტარიატთა ანტიმილიტარიზმისა და სხვა ასეთი მოვლენანი, რომლებიც დღევანდელმა ომმა ცოტა არ იყოს შეაჩერა და შეაფერხა, მომავალში უეჭველათ გააკეთილშობილებენ ადამიანთა ურთიერთობას. იყო დრო, როცა სიმკაცრე ვაჟკაცობათ მიაჩნდათ, მაგრამ ახლა ყოველგვარი სიმკაცრე, თვით სარდლობაც კი, აუცილებელ უბედურობათ მიაჩნიათ.

ადვილი შესაძლებელია, რომ ამ შეუბრალებელმა ომმა უფრო გააფაქიზოს ადამიანი და ყველას აღუძრას სურვილი ხანგრძლივი მშვიდობიანობისა. ასეთი შედეგი ჩვენ დავინახეთ ასი წლის წინეთ. მაშინ ომი დამთავრდა ევროპის კონგრესით. ახლაც უეჭველათ კონგრესით დათავდება თანამედროვე ომი, მაგრამ კონგრესი იქნება მსოფლიო და როგორიც კი უნდა იყოს მისი დადგენილებანი, ჩვენ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი უფრო ღრმათ გამოხატვენ ხალხის აზრს და ნაციონალურ ინტერესებს, ვიდრე ვენის კონგრესის დადგენილებანი იყო. ამიტომ არც ჩვენ მიგვაჩნია უტოპიათ ის აზრი, რომ ამ ომის შემდეგ ერთ 50 წელიწადს მაინც გასტანს მშვიდობიანობა.

50 წლის მშვიდობიანობა კი უდრის მუდმივ მშვიდობიანობას. ამ ხნის განმავლობაში პროლეტარიატი შესძლებს დაასუსტოს სახელმწიფოთა საერთაშორისო პოლიტიკა მშვიდობიანობის წინააღმდეგ მიმართული და ამ რიგათ უკანასკნელი სამი საუკუნის მოაზრეთა იდეალი განხორციელდება, არა როგორც ესთეტიური პოსტულატი, არამედ როგორც რეალური მოთხოვნილება განსაზღვრული საზოგადოებრივი კლასისა.

(შემდეგი იქნება).

**გიორგი ნიორაძე.**

ებრაელთა ერი? იმათგან, ვისაც პატარა ერების განთავისუფლება ვითომდა მიზნათ დაუსახავს.

—

განსვენებული კასოს მოღვაწეობა სასწავლო უწყებაში მრავალმხრივ საგულისხმო იყო. მთელი თავისი მოღვაწეობა მან კრამოლასთან ბრძოლაში გაატარა. ეძებდა კრამოლას და იმდენათ გატაცებული იყო კრამოლასთან ბრძოლით, რომ იქაც კი ხედავდა, სადაც მას ადგილი არ ქონდა. კრამოლა დაინახა უნივერსიტეტებში და რაც შვარცისაგან დააკლდა უნივერსიტეტებს ის მან შეასრულა. მისი წყალობით რუსეთის ათ უნივერსიტეტში 72 პროფესორთა კათედრაა დაცარიელებული. რაც კი საუკეთესო მეცნიერთა ძალები იყო, ყველა დაფერთხა. საშუალო სკოლებიც არ დატოვა უყურადღებოთ, კრამოლა აქ მშობელთა წრეში დაინახა და პირველათ მას ეცა. თავისი ცნობილი ცირკულიარით მშობელთა წრის შესახებ, თითქმის გააუქმა ეს წრეები. ერობაც ვერ შეიქნა კეთილიმედო კასოს თვალში. კრამოლნიკური სული მან ერობაშიც დაინახა და ერობას სამოსწავლო მთავრობის უწყებას ყოველგვარი უფლება წაართვა და ეს უფლება სულით მანქანით გადაქცეულ მოხელეებს მისცა, რომელიც მოკლებულია საზოგადოების თანაგრძნობასაც და ნდობასაც. ეგ რომ, ერობას ფული უნდა ეხადა, მაგრამ როგორ და რა საქმეზე უნდა დახარჯულიყო ეს ფული, ამაზე არა თუ მსჯელობის, გაკითხვის უფლებაც კი არ ქონდა. ამ გარემოებამ ერობასა და მოხელეობას შორის ბევრი გაუგებრობა გამოიწვია და რუსეთში სწავლა-განათლების საქმე დიდათ დაწია უკან. ახლა, როდესაც განათლების ასპარეზს გასცილდა კასო და ამ საქმის სათავეში იგნატიევი ჩადგა ერობას იმედები მიეცა თავის უფლებების უკან დაბრუნებისა და შესაფერი შუამდგომლობა აღძრა კიდეც იგნატიევთან. ერობას დიდი იმედი აქვს, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნება, მაგრამ რა იქნება ამას ამ ახლო მომავალში დავინახავთ.

—

ორლოვის სამაზრო სიეზდში ამ დღეებში გაირჩა სამრევლო სკოლის მასწავლებლის რიბინსკის საქმე. რიბინსკმა 12 წლის მოწაფეს ადრიანოვს სცემა. 1914 წელს 4 მაისს სკოლაში უნდა გადაეხადათ პარაკლისი. მასწავლებელმა ადრიანოვი ღვდლის მოსაყვანათ გაგზავნა. მოწაფე გაიქცა, რათა დავალება სასწრაფოთ აესრულებია. მას დაავიწყდა ქუდის დახურვა, რის გამოც ისევ უკან დაბრუნდა სირბილით. მას მასწავლებელი რიბინსკი შეხვდა და დაბრუნებისათვის სილა გააწნა. მოწაფე დაბარბაცდა და კარებს მიაჯახა შუბლი. 6 მაისს მოწაფის მშობლებმა მასწავლებლის წინააღმდეგ პოლიციაში საჩივარი შეიტანეს. პოლიციაში ბავშს დაკითხეს და საქმე გადაეცა ქალაქის მსაჯულს. მსაჯულმა სხვა მოწმეებს დაკითხა და გამოირკვა, რომ რიბინსკი ხშირათ სცემდა მოწაფეებს. სცემდა შეცდომისათვის, ცელქობისა და გაკვეთილის უცოდინარობისათვის და სცემდა ყველაფერს, რაც კი მოხვდებოდა ხელში. მსაჯულმა 142 მუხლის ძალით მასწავლებელს სამი თვით დატუსაღება გადაუწყვიტა. მსაჯულის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო შეიქნა სასკოლო საბჭო და უჩივლეს ქალაქის მსაჯულს. მომჩივნებმა თავისი გაიტანეს, სასამართლოს უფრო უმაღლესმა ინსტანციამ ქალაქის მსაჯულის განაჩენი უარყო და მასწავლებლის საქმის გარჩევა მიანდო სასკოლო საბჭოს.

დიდებულია სწორეთ! მასწავლებელმა რომ მოწაფე მოკლას—ეს საქმე უნდა გაარჩიოს სასკოლო საბჭომ, რომელსაც იმაზე მეტი სასჯელის მიცემა არ შეუძლია, რომ მასწავლებელი დაითხოვოს.

გაზაფხული უკვე დადგა და მოახლოვდა მიწის დამუშავების დროც. წელს მიწის დამუშავებას არა ჩვეულებრივი პირობები შეხვდა. მუშა ხალხი ომშია გარეკილი და სოფლად მუშა ხელის სიმცირე დიდათ საგრძნობია. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რუსეთის პრესამ და ამ საქმის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა. რუსეთის პროგრესიული პრესა წინააღმდეგია ამ მუშაობაში გამოიყენონ უცხოეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომი ტყვეები. მათი დამუშავებული პური ვერ იქნება კარგი და ტყვილად მიწას მოაცდენსო. გაზეთის ფურცლებზე ამ საგნის შესახებ მსჯელობა ჯერ კიდევ არ შეწყდარა. ჩვენ ამ მსჯელობის მსვლელობას მკითხველებს ვაცნობებთ თავის დროზე. მუშა ხელის სოფლად სიმცირეს ყურადღება მიაქცია ერობამაც. ყაზანის ერობამ დაადგინა შეადგინოს მუშათა მფრინავი რაზმები სოფლელთა დასახმარებლათ. რაზმის მუშათ იქნებიან სამხედრო ტყვე მუშები. რაზმს ექნება ყოველგვარი სამეურნეო იარაღი. განზრახულია ყაზანის საგუბერნიო ერობამ შეადგინოს სულ 177 რაზმი. მუშათა რიცხვი რაზმებში იქნება 4500. თითეულ მუშას მისცემენ თვეში 15 მანეთს. ამგვარივე ზომების მიღებას ეპირება სხვა ერობებიც.

გ. მ.

## ნარკვევი.

ქუთაისში მომხდარ სამწუხარო ინციდენტის გამო ბ. კ. აბაშიძე „სახ. ფურც“. სწერს:

ამ დღეებში ქუთაისში ფრიად სამწუხარო ინციდენტი მოხდა. ქართულის გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოწაფემ, გიმნაზიიდან დათხოვნილმა სწავლაში სისუსტის გამო, შეურაცხყოფა მიაყენა გიმნაზიის ერთ ერთ საუკეთესო მასწავლებელს. თვით ეს ფაქტი დიდათ პატივცემულის მასწავლებლის პირადის ღირსებისათვის სრულიად უმნიშვნელოა და მის პიროვნებას არავითარ ჩირქს არ სცხებს: მარგალიტს რაც უნდა ტალახი მოსცხოთ ტალახი მოიწმინდება და მარგალიტი მარგალიტად რჩება, ამის შესახებ ლაპარაკიც მეტია.

ამ ფაქტს ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას.

ამ მხრით უნდა აღვიაროთ, რომ ამ გზადაბნეულმა ახალგაზდა ყმაწვილმა—შეურაცხყოფა მიაყენა მთელს საზოგადოებას. ეს ყმაწვილი, რომელიც შეიქნა მსხვერპლი ადამიანის პირუტყვობისა და ველურობისა, მარტო პედაგოგიურ ასპარეზზედ არ არის ცნობილი. იგი ახალგაზდა ნიჭიერი საზოგადო მოღვაწეა. მის მშვენიერ, ღრმა ცოდნით აღსავსე საზოგადო ბაასს არა ერთხელ დაუტკბია ჩვენი სმენა; იგი ნიჭიერი მწერალია და ნიჭით შემკული ლექტორი. სულ ახალგაზდა იგი ყოველგვარ საზოგადო მოღვაწეობასაც ეწევა—ერთის სიტყვით თვალსაჩინო წევრია საზოგადოებისა. როცა ეგრეთს წევრს საზოგადოებისას შეურაცხყოფას აყენებს ვინმე იგი საზოგადოებას იწვევს ხმალში საზოგადოებას აბუჩად იგდებს, საზოგადოებას ამათრახებს. ეს ყოვლად მოუთმენელია და რაგვარი დამცველიც უნდა ვიყოთ პირადობის, ყოველ შემთხვევაში მის უფლებას საზღვარი აქვს გარდუვალი ეს მეორე პირადობა, რომელსაც იგივე ფასი აქვს როგორც მას. და თუ პიპირადობა არა ჩვეულებრივია და მაღალ საფეხურზედა სდგას თავისის გონებრივის და ზნეობრივის თვისებით იგი უნდა შეიქნეს უსათოდ საზოგადოების განსაკუთრებულ მზრუნველობისა და პატივისცემის საგნად.

ქუთაისის საზოგადოება ერთსულ და ერთგულ აღშფოთებულია ამ ფაქტით, თავისი გულმხურვალე სიმპატია განუცხადა ავაზაკობის მსხვერპლს, არა ერთხელ კიდევ დააჯილდოებს მას თავისი თანაგრძნობით; და ამ ფაქტით თავისი ღირსება შელახულად სცნო.

არის მეორე მხარე საგანისა, რომელიც ერთიორად უფრო გულსა სწყვეტს საზოგადოებას. ქართული გიმნაზია საზოგადოების განსაკუთრებულის ყურადღებისა და სიყვარულის საგანია.

უნდა მართალი სთქვას კაცმა, გიმნაზიის მასწავლებლებიც თავდადებულნი არიან ამ სასწაულებისათვის. ხანდისხან მთელის თვეობით უჯამაგიროდ მსახურობენ, მაგრამ სულის თავგანწირულებით კრინტის დაუძვრელად ემსახურებიან საქმეს.

აღსანიშნავია ის განსაკუთრებული მეგობრული და მამაშვილური განწყობილება, რომელიც არსებობს პედაგოგიურ პერსონალსა და მოწაფეთა შორის. ის ვინც ახლო სდგას ამ გიმნაზიასთან იცის, რა ნეტარებაა ბავშვებისათვის ეს განწყობილება და მწუხარებით იგონებს თავისი სწავლის

## მეგობარს.

—:—

დღეს არ ვიცი რა გაწუხებს,
რა ფიქრები გტანჯავს, გბურავს,
სით მიგიწვევს სამოქმედოთ
ეგ ბრძოლის ხმა ზედის მღურავს.

ნუ თუ ისევ ძველი სენი
სულს გიშფოთებს, ცრემლათ გწურავს,
თუ ოცნება ალმაფრენი
ფრთა შესხმული ცაში სცურავს.

დაე დავკრათ, მძლე ყიჟინა
ბრძოლის ველზე ჩვენც ავტეხოთ,
მტრის გულმკერდზე ბასრი ხმალი
დავამსხვრიოთ, გადავტეხოთ...

თორემ იცი, ერთგვარობა
ღელვილ სულსაც მოეწყინა,
დრომ უტეხი ბრძოლის ჟინი
თვალზე ცრემლათ ამიბრწყინა,
ჩრდილოს სუსხმა უმოქმედოს
ძარღვში სისხლი გამიყინა,
ფრთა მოსტეხა გიჟურ ლტოლვას
დამაკნინა, მიმაძინა...

დაე დავკრათ, მძლე ყიჟინა
ბრძოლის ველზე ჩვენც ავტეხოთ,
მტრის გულმკერდზე ბასრი ხმალი
დავამსხვრიოთ, გადავტეხოთ...

ცვარნამი.

მოხკოვი, 1914 წ.

---

დროებს. ეგრეთი ადამიანური მოპყრობა, რომ ჰქონოდა ვისმე ჩვენგანს სასწავლებელში, ვინ იცის რამდენი და მარხული და დასამარებული ნიჭი გაიფურჩქნებოდა. მასწავლებლები სცდილობენ საუკეთესო იდეალები პედაგოგიისა განახორციელონ რამდენადაც ეს შესაძლებელია, იმ პირობებში, იმ პირდაპირ აუტანელ გარემოებებში, რომელშიაც ქუთაისის ქართული გიმნაზია იმყოფება. და აი სწორედ ჯილდოდ ამ თავგანწირულებისა, ჯილდოდ ადამიანურის სისტემისა და პედაგოგიურის იდეალების თავდავიწყებულ სამსახურისა ერთ ერთი აღზდილი ამ სასწავლებლისა შეურაცხყოფით უმასპინძლდება ერთ-ერთ დამამშვენებელს გიმნაზიისას.

მრავალ ტრაგედიულ ფიქრებს აღუძრავს კაცს ადამიანის ბოროტ ინსტინქტებისა და უზნეობის შესახებ ეს მოვლენა.

მარტო სიკვდილს მერმე ცრემლები და გვირგვინები ეს ხომ ცოცხალთა თავის გასართობია. მიცვალებულნი კი სიცოცხლეში შხამით მოწამლულნი განისვენებენ. ხოლო მათი ცხედარი ხდება საგნად საზოგადოებრივის ექსპლოატაციისა.

გარეწარ ახალგაზდას, პატიოსანისა და ნიჭიერის მუშაკის შეურაცხმყოფელს ამ პირდაპირ გაუგებარ და უცნაურ ამბავის გამო საზოგადოებასთან უნდა ჰქონდეს საქმე. ცოტა ჭირი და ვაება ადგია ქართველ ერს, კიდევ ამგვარი ბოროტმოქმედებით არ მოგვიწამლოს ჩვენმა წევრმა გული?

საზოგადოებამ შეურაცხყოფილ მასწავლებელს პირდაპირ ოვაცია გაუმართა და თავის დანაშაულის წევრის მოქმედება გაჰკიცხა. ახალგაზდა მასწავლებელი ღირსეულად არაჩვეულებრივის საზოგადოებრივის თანაგრძნობის საგანი გახდა.

თვით მასწავლებელიც სრულიადაც, ვამბობ, არ უნდა შეშფოთდეს ამ ფაქტით. მისი თავმოყვარეობა სრულიად დაკმაყოფილებულია. ეგრეც, რომ არ იყოს საუკეთესო, მშვენიერი, მომხიბვლელი გვირგვინი საზოგადო მოღვაწისა სწორედ ეკლის გვირგვინია.

ხოლო, ვაი, იმ საზოგადოებას, რომელიც თავის ღირსეულ შვილებს ამგვარად უმასპინძლდება.

—

### ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ.

ერთი თვის წინ გაზეთ „სამშობლოში“ მოთავსებული იყო მ. რაჟდენ ხუნდაძის წერილი, რომელშიაც ის აზრი იყო გამოთქმული, რომ ჩვენ ქალაქში ყოველივე კოოპერატიული საქმე სამწუხაროთ თავდება ხოლმე: ფული იკარგება, საზოგადოება მოტყუებული რჩება, პასუხისმგებელი კი არავინაა. არ მეგონა, თუ ამ წერილზე პასუხს არ გასცემდენ ის პირები, რომლებიც დახურულ კოოპერატიულ საზოგადოებათა საქმეებს მეთაურობდნენ, ან სხვა ვინმე არ გამოეხმაურებოდა, მით უფრო, რომ ასეთი გულგრილობა ძირს უთხრის ყოველ ნაირ კოოპერატიულ წარმოებას. ყველასათვის ცხადია, რომ ძნელათ მოიპოვება ისეთი გულბრიყვი, რომელიც მოისურვებს რომელიმე კოოპერატიულ საზოგადოების წევრათ ჩაწერას, თუ გამოცდილებით იცის, რომ საწევრო ფული დაეკარგება და მოტყუებული დარჩება. ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ, მოვსთხოვოთ (პასუხი) ანგარიში იმ პირებს, რომლებიც დახურულ კოოპერატიულ საზოგადოებათა საქმეს მეთაურობდნენ, აგვიხსნან, რათ დაიხურა კოოპერატიული ფურნე, რომელსაც საკმარისი თანხა ქონდა, სად გაქრა „პროგრესის მაღაზია“, რა ქონება დარჩა წიგნების გამომცემელ საზოგადოებას და სად არის ეს ქონება. ესეები თუ არ გამოირკვა, საეჭვოთ მიმაჩნია, რომ ბ. ტ. ჯაფარიძის ფრიად სიმპატიურ აზრს შესახებ კოოპერატიული ფურნის გახსნისა ბევრი თანამგრძნობი გამოუჩნდეს.

ა. გორგაძე.

## გაზ. „სამშობლოს“ კანტორა

მოაგონებს თავის წლიურ ხელისმომწერლებს, ვისაც გაზეთის [illegible] ტანილი აქვს მხოლოდ ორი მანეთი ან ნაკლები, პირველ [illegible] ნონ დანარჩენი ხვედრი ფული ნახევარი წლისა, წინააღმდეგ შემთხვევაში პირველი აპრილიდან გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბავი.

✦ როგორც ნაქერალას ქედიდან გვწერენ ინჟინერ ქურდიანს წყაროები უკვე შეუმოწმებია და გამორკვეულა, რომ მხოლოთ ერთი წყარო „ცივი წყარო“ ქალაქს დღეში მისცემს 690.000 ვედრო წყალს. ამას რომ მეორე წყაროს წყალიც მიუმატოთ დღე და ღამეში მოგვცემს 1 მილიონ ვედროზე მეტ წყალს.

✦ დღეს, 29 მარტს, შესდგება საურთიერთო ნდობის ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების წევრთა კრება. გასარჩევათ დანიშნულია შემდეგი საკითხები: 1) განხილვა და დამტკიცება 1914 წლის ხარჯებისა; 2) დამტკიცება მდგომარე 1915 წლის ხარჯთაღრიცხვისა; 3) მოხსენება გამგეობისა შესახებ ოპერაციების გავრცელებისა; 4) გამგეობის ერთის წევრისა და მისი კანდიდატის არჩევა; 5) ზედამხედველი კომისიის სამი წევრის არჩევა და 6) სარევიზიო კომისიის სამი წევრისა და მათი კანდიდატების არჩევა.

✦ ქალაქის გამგეობამ სათადარიგო ჯარისკაცების ოჯახებს ამ წლის ხაზინიდან მიღებული ფული ორჯელ დაურიგა. პირველათ იანვრისა და თებერვლის ფული დაურიგა მარტის პირველ რიცხვებში სულ 7.436 მ. 56 კ. აქედან თითო სრულ წლოვანს ერგო 2 მ. 47 კ. ხუთი წლისაზე ნაკლებს კი ამის ნახევარი. მარტის თვის ფული კი ამ დღეებში რიგდება. ჯერ-ჯერობით დარიგებულია 4.000 მან.

✦ ქართულ გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეების წრეში გამოცდა ხვალ, 30 მარტს, დასრულდება. მეექვსე კლასის მოწაფეებს კი პირველი გამოცდა სამშაბათს, 30 მარტს, ექნებათ.

✦ სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით მარიამ კაუხჩიშვილის ქალთა გიმნაზიაში დეპუტატათ დანიშნულია ქუთ. გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ვიშნევსკი და არა ბ-ნი ზახარიევი, როგორც ამას წინათ შეცდომით გვქონდა მოხსენებული.

✦ ქუთ. საოლქო სასამართლოს უფროსი თავმჯდომარე, რომელიც სააღდგომოთ პეტროგრადს გაემგზავრა ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა. როგორც შევიტყვეთ ბ. ფედოროვის მეთაურობით სააღდგომოთ პეტროგრადიდან, კავკასიის ჯარის კაცთათვის გამოუგზავნიათ რამდენიმე ვაგონი თეთრეულობა და ტკბილეულობა.

✦ რედაქციამ მიიღო საყურადღებო წიგნი შედგენილი რუსულ ენაზე კ. მაჭავარიანისაგან „სამკურნალო მინერალური წყაროები ქუთაისის გუბერნიაში“. წიგნი სუფთათ არის გამოცემული ბ-ნ თომა მთავრიშვილისაგან და ღირს ერთ აბაზათ.

✦ ხვალ, 30 მარტს, ქალაქის საბჭოს კრებაზე გასარჩევათ დანიშნულია სულ 13 საქმე. სხვათა შორის საბჭო გაარჩევს მდგომარე წლის ქალაქის შემოსავალ-გასავალის ხარჯთაღრიცხვას, რომელიც შედგენილია ქალაქის გამგეობის მიერ.

✦ სათავად-აზნაურო სააღგილ-მამულო ბანკის მოსამსახურეთა საპენსიო კასის წევრთა საზოგადო კრება დანიშნულია პირველი აპრილისათვის, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები: 1) გასული 1914 წლის ანგარიშების განხილვა 2) არჩევა კასის კომიტეტის 4 წევრისა და მათი კანდიდატებისა; 3) არჩევა ბუხგალტერისა და საქმის მწარმოებლისა და 4) დამტკიცება 1915 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა.

✦ ამას წინათ, ქალაქის გამგეობის წევრმა ს. ქვარიანმა განცხადება შეიტანა, რომ ქალაქმა დაარსოს მუნიციპალური ფქვილის საწყობი.

ამის გამო, ქალაქის გამგეობა უკვე შეეკითხა სხვადასხვა ქალაქებს, თუ ასეთი ფქვილის საწყობები როგორ აქვთ მათ მოწყობილი.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთის“ გამგეს ბ. ისიდორე კვიციარიძეს ვიღაცეებმა მოპარეს ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთ. განყოფილების მიერ მობარებული ყულაბი.

✦ ხვალ, 30 მარტიდან, ოლქის სასამართლოში დაიწყება საქმეების გარჩევა.

✦ როგორც ს. წყალტუბოდან გვწერენ, 5 აპრილს, მგოსნის აკაკის სახსოვრათ, აკაკის სახელობის წყალტუბოს სამკითხველოში გაიმართება უფასო სალიტერატურო დილა. წარმოდგენილი იქნება ვოდევილი „უბედური დღე“.

✦ ორპირის ქუჩის შესახვევში დიდი უსუფთაობაა. მცხოვრებნი ნარეცხ წყალსა და ყოველივე სიბინძურეს ქუჩაში ღვრიან. საჭიროა ქალაქის სანიტარებმა ყურადღება მიაქციონ.

✦ წყალ-გამა უბანში, ღულაძის მინდორთან, არსებობს ქალაქის მოედანი, სადაც არის 30-მდე დუქანი. აქვე ვაჭრობენ სოფლიდან ჩამოსული გლეხებიც.

ამ მოედანზე დიდი სიბინძურეა. ქალაური მედუქნეები სთხოვენ ქალაქის გამგეობას, რომ ქალაქმა თავის ხარჯით გააკეთოს მისადგომი ადგილი.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში ნავთი თითქმის აღარ იშოვება, რის გამოც მცხოვრებლები მეტათ შეწუხებულნი არიან.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა მწვანე ბაზარში ყასპებს: პავლე არჯევანიძეს ხორცის ნიხრს ზევით გაყიდვისთვის და ალექსანდრე ჩირაძეს დამპალი შაშხის გაყიდვისთვის.

ამავე დღეს ოქმი შეუდგინა მეფქვილე რაფიელ კაკიტელაშვილს ფქვილის მეტ ფასში გაყიდვისთვის.

თბილისისა და ქარვასლის ქუჩაზე მარდახა ელიგულაშვილს ქალ. სანიტარმა ილია ჩაჩანიძემ უსუფთაობისათვის ოქმი შეუდგინა.

✦ სოფ. დიმის საზოგადოების მკვიდრნი ლუკა და ბესარიონ კვირიკაძეები 1914 წ. ნოემბრის თვიდან ამოწერილ იქნენ ამავე საზოგადოებისაგან და ჩარიცხნენ ქუთაისის მოქალაქეთ.

### თეატრი.

დღეს, ქალაქის თეატრში ქარ. მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის ცნობილი ისტორიული პიესა **„სამშობლო“**, შვიდ სურათად, მეექვსე სურათში შესრულებული იქნებ **„ლიტანია“**, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი, ხორო და მრავალი თანამშრომლები. ლიტანიით სამშობლო, სხვადასხვა ტეხნიკური დაბრკოლებისა გამო, ბ. მესხიშვილის სეზონის შემდეგ ე. ი. 10 წლის წინად არავის დაუდგამს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

**შეცდომის გასწორება.**

პატივცემულ ნიკო ნიკოლაძის წერილში, რომელიც დასტამბული იყო „სამშობლო“-ს 41 ე №-ში სამწუხარო შეცდომა შეპარულა: მეოთხე სვეტის მეცხრამეტე სტრიქონში **სპილენძის სურინჯი** რუსულად შეცდომით არის ნათარგმნი: „Мѣдный купаросъ“ უნდა თარგმნილიყო „Мѣдный колчеданъ“.

—

## უმადურობის ერთი ნიმუში.

(წერილი ხონიდან).

ხონი რომ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებების მხრით მდიდარი დაბაა, ამაში ხონელები განსვენებულ ივ. შარაშიძეს უნდა უმადლოდენ, რომლის მადლიანმა ხელმაც შექმნა ეს დაწესებულებები. ივანე შარაშიძე არამც თუ ხონში, არამედ მთელ საქართველოში სა-

საპარტიო სავაჭრო სააგენტო და კომის. საქონლის
ტ. ლ. გასილაძე და ა. მ. პილასანია
ქუთაისში, მიხაილოვის ქუჩა
ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
ძმ. კუზანოვების
ქუთაისში.

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ცნობილი აბრეშუმის თესლის ფირმის „ეკონომიდის“, ამით აუწყებს მებრეშუმეებს, რომ თესლი უკვე მივიღეთ და ვყიდით ხელსაყრელ ფასებში, პარტიობით და წვრილათ.

თესლი შემოწმებულია თფილისის სააბრეშუმო სადგურის მიერ. მიაქციეთ ყურადღება კოლოფზე თეთრ ბანდეროლს. 15—1

მაგალითო პიროვნება იყო და მან შეიძლო ის, რაშიც ხშირათ უძლურია მთელი-ინტელიგენტთა ჯგუფი და ან თვითმართველობის ესა თუ ის ინსტიტუტი. რუსეთში ერობა არსებობს, მაგრამ ვერ ნახავთ დაბას რომ თვითმართველობის ამ ინსტიტუტს გაეკეთებიოს მისთვის იმდენი, რამდენიც ივ. შარაშიძემ ხონელებს გაუკეთა.

მართლაც რუსეთის იმპერიაში, მეორეც კი არ მოიპოვება ხონის მსგავსი დაბა. სკოლები და კულტურული დაწესებულებები რამდენიც ხონშია სხვაგან ამდენს სამაზრო ქალაქებშიც კი ვერ შეხვდებით. ივ. შარაშიძის მეცადინეობით არის აქ დაარსებული: სამასწავლებლო სემინარია, ვაჟთა გიმნაზია, სახელოსნო სკოლა, სამოქალაქო სკოლა, მარიამის ქალთა სკოლა და ბევრი სხვა პირველდაწყებითი სასწავლებელი. განსვენებული მონაწილეობას იღებდა ყოველ კულტურულ საქმეში და წ. კ. საზოგადოება იყო ის თუ სხვა, ყველგან თავისი წვლილი შეჰქონდა. მან მახლობელი მონაწილეობა მიიღო სარწყავი არხების გამოყვანაშიც და რამდენიმე წლის განმავლობაში მირაბათაც იყო.

ასეთი იყო ივანე შარაშიძე და ამდენათ დიდი იყო მისი ღვაწლი ხონელებისათვის. თუ არა ივანე შარაშიძე, ხონი დღეს ის არ იქნებოდა, რაც არის.

ხონელებმა, თავისდა სამარცხვინოთ, ასეთი ადამიანი ვერ დააფასეს და ვერ სცეს მას შესაფერი პატივი, ვერც სიცოცხლეში და ვერც სიკვდილის შემდეგ ვერ აღნიშნეს მისი ხსოვნა ღირსეულათ. როგორც დიდ ბუნებოვანმა ადამიანმა ხონელებს ეს ცოდვა, უმადურობის გამოჩენა აპატივა და სიკვდილის დროსაც კი არ დაივიწყა ხონელები. განსვენებულმა მთელი თავისი ქონება დაუტოვა ხონელებს სახალხო სახლის ასაშენებლათ.

ზოგიერთმა ვაჭბატონებმა ისარგებლეს ივანეს გარდაცვალებით და სიცოცხლეში მასთან კარგი განწყობილებით და ყალბი თუ ნამდვილი თამასუქებით ისე დაწეწეს საქმე, რომ მისი ქონებიდან სახალხო სახლის ფონდს თითქმის არაფერიც არ დარჩენია. დაივიწყეს ივანეს ღვაწლი, დაივიწყეს ივანეს უკანასკნელი ანდერძი და მის უკანასკნელი სურვილის განხორციელებაზე—ხონში სახალხო სახლის აშენების შესახებ — დღეს არავინ არ ფიქრობს.

ერთი ივანეს პატივმცემელ ვაჭბატონთაგანი თამასუქებს ჰკრებდა და თამასუქების პატრონთ ეუბნებოდა: მართალია ივანეს თქვენი ამდენი არ ემართა, რამდენიც აქ სწერია და მე კი ამდენს ავიღებ, მაგრამ გადარჩენილ ზედმეტ ფულს ივანეს საფლავზე ძეგლის დადგმის საქმეს მოვახმარო. ამ ვაჭბატონს ამგვარად ივანეს ქონებიდან ზედმეტი ფულის სახით 700 მან. მიუთვისებია და ახლა თურმე შენაპირებსაც უარყოფს. ამ ვაჭბატონის სახელსა და გვარს ჯერ არ ვაქვეყნებთ, ვინაიდან იმედი გვაქვს, რომ გონს მოვა და ზედმეტათ აღებულ 700 მან. თავის დანიშნულებას მოახმარებს.

ივანეს ქონება საჯარო ვაჭრობით გაყიდეს და ზოგიერთმა ვაჭბატონებმა აქაც „ხონური“ ჩაიდინეს. ვაჭრობა იმგვარათ მოაწყვეს რომ მყიდველებს იმის მეათედ ფასში დაანარჩუნეს საქონელი, რაც ღირდა. „ხონურობა“ იმაში გამოიჩინეს, რომ მყიდველი თვით იყვნენ, მაგრამ თვით არ გამოვიდნენ და მყიდველის როლში სხვა გამოიყვანეს.

ამ სტრიქონების დამწერი ივ. შარაშიძის მოღვაწეობაში უარყოფით მხარეებსაც ვხედავთ და მისი მოღვაწეობა უნაკლულოთაც არ მიაჩნია, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ვართ, რომ ივანე მეტი პატივისცემის ღირსი იყო ხონელებისგან. ხონელი ვაჭრები, რომლებიც კაპიკსაც კი არ გამოიღებენ დღეს მისი ხსოვნის აღსანიშნავათ ივანე შარაშიძის წყალობით არიან, თორემ აქამდი გაჭრებოდნენ. სკოლებმა მოიზიდეს ხალხი, საქონლის მოთხოვნილება გაზარდა და ვაჭრობის გაძლიერებას შეუწყო ხელი. ერთი სიტყვით, ივანეს წყალობით უდგიათ სული და მისი ხსოვნის აღსანიშნავათ ფულის გაღების დროს ძუნწობენ. ამაზე შორს წასვლა უმადურობისა და უპატივცემლობისა ყოვლად შეუძლებელია!

უპატრონოდ მიტოვებული ივანეს საფლავი და ხის მოაჯირით შემოკავებული მაჩვენებელია ხონელების სიძუნწის და უმადურობისა. განა ასეთი უყურადღებობა ეკუთვნოდა ივანეს, განა ეს დაიმსახურა მან ხონელებში და განა მისი ღვაწლი ამდენად უმნიშვნელო იყო, რომ ასე უცბათ დავივიწყეთ? სასურველია წ. კ. საზოგადოების ადგილობრივი განყოფილება მაინც აღძრავდეს საზოგადოებაში ივანეს ხსოვნის აღსანიშნავად პატივისცემის საკითხს. ამ საზოგადოებამ, უეჭველად უნდა მოიწვიოს კრება და გამოიმუშავოს რიგი ზომებისა, რათა მისი უკანასკნელი სურვილი ხონში სახალხო სახლის აგების აზრი განხორციელებულ იქნას და რათა მის საფლავზე შესაფერისი ძეგლი იქნას დადგმული. ყოველ წლობით უნდა იმართებოდეს ხონში ივანეს სახელობის სადამოები და აქედან შემოსული ფული უნდა ხმარდებოდეს ზემოთ აღნიშნულ საქმეებს

ივანეს სახელი საკმაოთ ცნობილი იყო ხალხში და თუ მოუწოდებენ ხონელებსა და მის ახლომახლო სოფლელთ დარწმუნებული ვართ, ხალხიც გაიღებს თავის წვლილს მის ხსოვნის აღსანიშნავათ. სოფლის ყრილობაზე ისეთმა საპატიო პირმა, როგორც არის ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილი უნდა აღძრას ეს საკითხი და, ეჭვს გარეშეა, მას შესაფერისათ გამოეხმაურებიან და მზგავსად ხონელ ვაჭრებისა დუქნის უკან არ გაიპარებიან მის სასარგებლოთ ფულის შეკრების დროს.

**ხონელი.**

## მოწოდება

**ქ. გორის მცხოვრებთა მიმართ.**

მოქალაქენო! მოახლოვდა დღე რწმუნებულთა არჩევნებისა, 31 მარტს გორის ყოველმა მცხოვრებმა, რომელსაც კი აქვს საარჩევნო უფლება უნდა მხურვალე მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში!

ვაი იმ ქალაქს, რომელიც ამ საერთაშორისო ომიანობის დროს ფხას და უნარს არ გამოიჩენს. სირცხვილი იმ მოქალაქეს, რომელიც ამ არჩევნებს გულგრილად და აბუჩათ დახვდება.

მოქალაქენო! იცოდეთ, რომ გაჭირვებულ და ძალიან საშიშ ხანაში გვიხდება არჩევნებისათვის ანგარიშის გაწევა, მით უმეტეს ძალიან სიფრთხილე გმართებთ.

მომავალმა არჩევნებმა მთელი გორის საზოგადოება აახმაურა, უკვე შესდგა რამდენიმე ჯგუფი სხვადასხვა მიმართულებისა თავის კანდიდატების წამოსაყენებლათ.

პირველი ჯგუფი სწორეთ იმ ძველ რწმუნებულთაგან შესდგება, რომელნიც მყუდროთა გრძნობენ თავს თავიანთ თანამდებობაზე და შესაძლებელიც არის არც კი ნებავდეთ ვინმემ დაარღვიოს მათი მყუდრო არსებობა. მიუხედავათ ამისა ფართე მასსა არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს და თავის ზნეობრივი და კანონიერ უფლებებს გამოიყენებს. ძველი ხმოსნების მოქმედებას კი ყველა ჩვენგანი კარგათ იცნობს და მათ მოღვაწეობას მომავალი არჩევნები ჯეროვან მსჯავრს დასდებს.

მეორე ჯგუფი გახლავთ შოვინისტური ჯგუფი, რომლის მოძღვრებას კაციჭამიობის სარჩული უდევს და რომლის უგვანო მოქმედების ნაყოფს დღესაც მწვავეთ განიცდიან ქალაქ სიღნაღის, თელავის, თფილისის და სხვა ქალაქთა მცხოვრებლები. ყოველნაირი შოვინისტური მიდრეკილებანი უარყოფილი უნდა იყოს მომავალი არჩევნების დროს. გვეყო ამდენი ჩვენი თამაში, ფართო დემოკრატიული მასის ამ საკენკით ტყუება. დღევანდელი დუხჭირი ცხოვრების პირობები სულ სხვა რამეს გვავალებს და იმედია შეგნებული ნაწილი ჩვენის საზოგადოებისა განურჩევლად ეროვნებისა დაგმობს ასეთანა არა სასურველ ნაბიჯებს და შეჰკრავს მკვიდრ კავშირს იმ ფართე მასსის **მესამე ჯგუფის** წარმომადგენლებთან, რომელიც შეერთებულის ძალით განაახლებს ქალაქის თვითმართველობის შემადგენლობას და მოაპოვებინებს სათანადო სამოქმედო ასპარეზს.

აი ის ჯგუფები, რომელნიც ცდილობენ ეს რამოდენიმე ხანია გაავრცელონ მცხოვრებლებში თავიანთი კანდიდატების სია.

მოქალაქენო, უკუაგდეთ ყოველივე ვიწრო ჯგუფური ინტერესი, იხელმძღვანელეთ მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთა ინტერესებით. მოიგონეთ თფილისიც; თვითმართველობის და ბელგიელთა საზოგადოების ტრამვაის გარშემო აშენებული კომედია. კომედია, იმიტომ, რომ ნათელ მზესავით აშკარა იყო ქ. თფილისის თვითმართველობისაგან ქალაქის ინტერესების მიფუჩეჩება ბელგიელებზედ. გაიხსენეთ ჯერ ისევ ცხელცხელი ამბავი თფილისის ყასბების და ქალაქის მამების „იოლიანი“ მორიგება ნიხრზედ. ყასბები ითხოვდნენ თავიანთ კაპიტალის დანახარჯზედ ცამეტ პროცენტს. ქალაქის მამებმა კი, თათბირის შემდეგ ყასბებს მიაკუთნეს ოცდარვა პროცენტი ცხოვრების გაძვირების უყურადღებობა ქალაქის მამებისაგან და სხვა მრავალი ამისთანები.

მოქალაქენო, დღევანდელი მწვავე მომენტი გვავალებს რაც შეიძლება ყურადღებით მოვეპყროთ არჩევნებს და ავირჩიოთ ფართე მასსიდან ნდობით აღჭურვილნი პირნი. ნუ დავივიწყებთ იმ ძველთაგანვე ცნობილ სიმართლეს, რომ სადაც ერთობა-თანაგრძნობაა და სიყვარული, იქ ძნელი საქმეც გაადვილდება, ძმური ამხანაგური მოქმედებით პატარა საქმეც გადიდდება და გაძლიერდება. შურით, მტრობით და უთანხმოებით კი აშენებულ-გაძლიერებული საქმეც დაინგრევა; ამიტომ როცა დაესწროთ საზოგადო კრებას, რის ბატონ-ბატონიც თქვენა ხართ, დაუგდეთ ყური იქ ნათქვამ-ნალაპარაკებს და კენჭის ყრის დროს შეგნებულათ მიემხრე სიმართლის მთქმელს და სიბოროტე-უსამართლობის მთქმელს კი წინააღუდექ, თუ ნამდვილი მოქალაქე და ხალხის მოკეთე ხარ!..

მესამე ჯგუფის მონდობილობით: **შაქრო ჯავახიშვილი, გიორგი მინაზარიშვილი, დავით ჯავახიშვილი.**

P. S. ვეთანხმები რა ამ მოწოდებას, ვსთხოვ ჩემ სამშობლო ქალაქ გორის მცხოვრებლებს ფხიზლად მოეკიდონ არჩევნების საქმეს და გორის ქალაქის გამგეობაში არ გააპარონ ყველასგან კარგად ცნობილი ცხვრის ტყავში გახვეული მგლები.

**ია ეკალაძე—ცინცაძე.**

ქ. ქუთაისი, 28 მარტი.

## წერილები რედაქციის მიმართ.

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ შემდეგს:

1 და 8 მარტს გვქონდა დანიშნული მუხიანის აკაკის სახელობაზე უფასო სამკითხველოს კრება (წლიური), მაგრამ, რადგანაც არც პირველჯერ და არც მეორეჯერ საკმაო წევრები და გარეშე საზოგადოებაც ძალიან ცოტა დაესწრო, კრება გადავდევით 5 აპრილისათვის.

გამგეობა სთხოვს როგორც წევრთ, ისე გარეშეთაც, ვისაც შეჰზირს რამე სამკითხველოსათვის ამ დღისთვის მაინც მობრძანდენ.

სხვათაშორის, ამ დღესვე იქნება აღძრული საკითხი კოოპერატიული ფურნის გახსნის შესახებ მუხიანში.

მუხ. სამკითხველოს **გამგეობა.**

უმორჩილესათ ვთხოვ პატივცემულ „სამშობლოს“ რედაქციას დაუთმოს გაზეთში ადგილი შემდეგს:

იმ სიაში, რომელიც ამ დღეებში „სამშობლოში“ დაიბეჭდა (№ 34) და რომელთაც 1914 წლის საწევრო ფული გადახდილი აქვთ, ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელ-აღმზრდელთა შორის გამომრჩა ბ-ნი ივანე პეტრეს ძე ეპიტაშვილი, რომელსაც აგრეთვე შეტანილი აქვს 1914 წლის საწევრო ფული.

პატივისცემით — **სილოვან ხუნდაძე.**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც გეთილ ინებეს და სოფელ სადმელის არჩილ ჯორჯაძის სახელობაზე გახსნილ უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოს დახმარება აღმოუჩინეს.

სია შემომწირველთა:

პავლე მოსეშვილმა 12 მან. იასონ და სალომე ბაქრაძეებმა, 3 მან. რაჟდენ დათუშიძემ, 2 მ. ანტ. ვაჩაძემ, 2 მან. მ. ლ. 1 მან. ს. წ. 1 მან. გ. წერეთლისამ, 1 მან. კოწია ბაქრაძემ, 1 მ. ელენა გიორგობიანმა, 1 მან. ლადო კანდელაკმა, 1 მან. სულ 25 მან.

აგრეთვე დიდი მადლობის ღირსია არტემ კიკვიძე, რომელმაც სამკითხველოს არჩილ ჯორჯაძის სურათი შემოწირა.

სამკითხველოს მდივანი **ვ. ბახტაძე.**

### ჩვენი ფოსტა:

**დ. აბაშა.** აკაკი ცომაიას. დაუბეჭდავ ლექსებისა და კორესპონდენციების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

**დ. ახალსენაკი.** ანტონ კუჭავას. როგორც მოწაფეს, პირველი აპრილიდან პირველ ეკენისთვემდი გაზეთი დაგეთმობათ 3 მ. და 10 შ. ფულის გამოგზავნისათანავე გამოგეგზავნებათ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია
კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში
ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.
კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი
გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.
— კატალოგები უფასოთ — თ.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.
1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით, მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულებ.
9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10კ.
10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია.

აქვე იყიდება საწყობი შემდეგი წიგნებისა.
1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე. ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

სპეციალური სახელოსნო
პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).

ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.

ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

ძმ. ქორქოლაძის მაღაზიაში
ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.
მიიღებულია საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი.
საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი აბრეშუმის თესლი.
ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები.
და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.
ფასები ზომიერია.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.